# SPARE

## ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი

## School Project for Application of Resources and Energy




ecovision.ge

NORGES
NATURVERNFORBUND

**საერთაშორისო პროექტის SPARE ეროვნული კოორდინატორი**

ეკოხედვა
კავშირი მდგრადი განვითარებისათვის

ecovision.ge

THE UNION FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT
ECOVISION

# ვინ ვართ ჩვენ

კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოხედვა/EcoVision“ 2001 წელს დაარსდა. ჩვენი ძირითადი მიმართულება მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობაა.

ორგანიზაციას „ეკოხედვა/EcoVision“ დაარსების დღიდან, გარემოს დაცვის სფეროში, შესრულებული აქვს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული 60-ზე მეტი პროექტი.

# ორგანიზაციის მისია:

საზოგადოების გრძელვადიანი ხედვისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბება, ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენების პოლიტიკის დანერგვა და ამით ადამიანის ზემოქმედების შემცირება ბუნებაზე, საზოგადოების გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა.






# ვისთან ვმუშაობთ ჩვენ

ჩვენ ვმუშაობთ სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, სახელმწიფო სტრუქტურებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან საქართველოში, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.



# SPARE

კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოხედვა/EcoVision", ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, 2002 წლიდან საქართველოში ახორციელებს საერთაშორისო სასკოლო პროექტს **SPARE** (School Project for Application of Resources and Energy), რომლის მთავარი მიზანია ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპების სწავლება და დანერგვა. დღეისთვის **SPARE** მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში ხორციელდება.

## 2002 წლიდან დღემდე:

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის საკითხებთან დაკავშირებით განხორციელდა პრაქტიკული ღონისძიებები: დათბუნდა 30 შენობა, დამონტაჟდა 50 ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგი მოწყობილობა;
- ჩატარდა 350-ზე მეტი სემინარი, ტრენინგი და პრაქტიკული მეცადინეობა;
- გამოიცა 35-მდე სხვადასხვა სახის სახელმძღვანელო პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის, რომლებიც განათლების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ დამტკიცებულია და შეტანილია სკოლებში ფაკულტატური სახით;
- შეიქმნა თამაშების სერიები, მათ შორის კომპიუტერული თამაში ბავშვებისთვის, რომლითაც შესაძლებელია გაეცნონ ძირითად გარემოსდაცვით საკითხებს, შეიძინონ უნარ-ჩვევები ენერგოეფექტურობასა და ენერგორესურსების დაზოგვაზე.

ამჟამად, **SPARE** სასკოლო ქსელში გაწევრიანებულია 600-მდე ეკოკლუბი და 5500-მდე მოსწავლე მთელი საქართველოს მასშტაბით.

SPARE საერთაშორისო ბანაკის მონაწილეები





იოანე ანდრიაძე, ნიკა ვაშაკიძე, გიორგი ოქროდაშვილი
კონკურსის „ენერგია და საცხოვრებელი გარემო" გამარჯვებულები
პედაგოგი - ელისო შერლაია

# სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ:

- გარემოსდაცვით ტრენინგებსა და კონფერენციებში
- გარე აქციებსა და გარემოსდაცვითი დღეების აღსანიშნავ ღონისძიებებში
- კონკურსებში, გამოფენებსა და ფესტივალებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე
- ტელეშოუში „ეკოვიზია", რომელიც უკვე 4 წელია გადის ეთერში

კონკურსების გამარჯვებულ ბავშვებს საშუალება ეძლევათ გაემგზავრონ საზაფხულო ეკობანაკებში საქართველოსა და უცხოეთში




საბა მამუკაშვილი -
საერთაშორისო სასკოლო პროექტის
SPARE
გამარჯვებული

# რატომ უნდა ჩავერთოთ პროექტში SPARE

ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის საკითხები თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში პრიორიტეტულ გარემოსდაცვით მიმართულებად ითვლება. ამ საკითხების შესწავლა და ყოველდღიურობაში დანერგვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

პროექტში **SPARE** ბავშვების ჩართულობის გარდა, მნიშვნელოვანია მშობლების მონაწილეობაც. გარკვეულწილად სწორედ თქვენზეა დამოკიდებული თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი შვილის საქმიანობა პროექტის ფარგლებში. ამიტომ დაეხმარეთ, ხელი შეუწყვეთ ბავშვებს, რომ იყვნენ უფრო აქტიურები ამ მიმართულებით.





# რეკომენდაციები მშობლებისთვის

## მიყევით ბავშვის მითითებებს:

- ჩაერთეთ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში
- კვირაში ერთხელ ერთად შეამოწმეთ მრიცხველი და შეადარეთ წინა მაჩვენებელს
- არ დახარჯოთ ენერგია ფუჭად
- თუ არ გჭირდებათ, გამორთეთ ტელევიზორი და სხვა ელექტრომოწყობილობები
- სახლიდან გასვლისას ყველგან ჩააქრეთ შუქი
- თქვენი შვილისთვის სამეცადინო კუთხის მოსაწყობად შეარჩიეთ კარგად განათებული ადგილი
- ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვმა გაკვეთილები დღის სინათლეზე მოამზადოს
- შეიძინეთ ენერგოეფექტური ტექნიკა
- აადუღეთ ზუსტად იმდენი წყალი, რამდენიც გჭირდებათ
- მოამზადეთ საჭმელი თავდახურულ ქურქელში. ამ დროს ნაკლები ენერგია იხარჯება
- ქვაბში წყლის ადუღებისთანავე დაუწიეთ ქურას
- უთო ყველაზე მეტ ენერგიას გაცხელების დროს მოიხმარს, ამიტომ ერთ ჩართვაზე რაც შეიძლება მეტი ტანსაცმელი და თეთრეული გააუთოვეთ
- საღამოს გამოიყენეთ ლოკალური განათება, რადგან დიდი ჭაღები ბევრ ენერგიას მოიხმარს




ანი ენუქიძე

საჩხერის მუნიციპალიტეტის
სოფ. არგვეთის საჯარო სკოლა
XII კლასი

www.spareworld.org